ქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
ოველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნიკოლოზ მარსაგიშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლე არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	94	100

ლევან ნემსაძე [signature]

თარიღი: 22.07.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან ნემსაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის **ნიკოლოზ მარსაგიშვილის**

შეფასება დასაბუთება

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 2 ივლისის №1/53 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა ნიკოლოზ მარსაგიშვილი. ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ რომელსაც დეტალურად გავეცანი. 2024 წლის 18 ივლისს ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის" 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი შეეფასა - ,,საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

კანდიდატი 50 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 25 წელზე მეტია, მათ შორის - მოსამართლედ დაახლოებით 15 წელი და 7 თვე. კერძოდ:

1999-2003 წლებში მუშაობდა დუშეთის რაიონულ პროკურატურაში გამომძიებლის თანამდებობაზე;

2003-2004 წლებში იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებელი;

2004-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის აღმოსავლეთის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი გამომძიებლის თანამდებობაზე;

2005 წელს იყო მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების უფროსი;

2005-2006 წლებში მუშაობდა დუშეთის რაიონული პროკურორის თანამდებობაზე;

2006-2007 წლებში მუშაობდა მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურაში, განყოფილების პროკურორის თანამდებობაზე;

2007-2008 წლებში იყო შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი;

2008-2017 წლებში იყო გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და, ამავე დროს, დაკისრებული ჰქონდა გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება;

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით, დაინიშნა გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ; 2017 წლის მაისიდან 2019 წლის მაისის ჩათვლით ასევე იყო გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე;

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 24 მაისის №1/63 გადაწყვეტილებით, ამავე წლის 3 ივნისიდან განწესდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ და თანამდებობაზე დაინიშნა უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე;

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის №1/131 გადაწყვეტილებით, 2019 წლის 24 ივნისიდან დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლედ;

2019-2020 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე;

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ივლისის განკარგულებით, დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ;

2020 წლის 18 მარტიდან 2024 წლის 18 მარტამდე იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, ხოლო 2020 წლის 30 ოქტომბრიდან 2024 წლის 18 მარტამდე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი;

2024 წლის 24 მარტიდან საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ ახალი ვადით არჩეულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრისა და მდივნის თანამდებობაზე.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის გამოირჩევა მაღალი მორალური და ზნეობრივი თვისებებით, კეთილსინდისიერებით, გულისხმიერებით, მიუკერძოებლობით, პრინციპულობით, თავმდაბლობითა და კოლეგიალურობით.

კანდიდატის შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მისი სამოსამართლო და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად საქმიანობის შესახებ. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი, შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; არ აქვს მიმდინარე სესხი. კანდიდატის საკუთრებად რეგისტრირებულია: მიწის ნაკვეთი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, გუდაური, 400 კვ.მ; მიწის ნაკვეთი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელი აჩხოტი, 835 კვ.მ; ავტოფარეხი - თბილისი, 19,5 კვ.მ.. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატს არ უფიქსირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

იმის გათვალისწინებით, რომ საანგარიშო პერიოდში მოსამართლე ნიკოლოზ მარსაგიშვილი იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი №20-ით დამტკიცებული „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მითითებულ პერიოდში მასზე საქმეთა განაწილება არ მომხდარა.

კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ 5 საქმეზე გამოტანილი განაჩენი, რომელთა შესწავლით ირკვევა, რომ ყველა მათგანი არის დასაბუთებული, მსჯელობა თანმიმდევრული და დამაჯერებელია.

კანდიდატი ხშირად მონაწილეობს სასწავლო ხასიათის ღონისძიებებში (მაგ: სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხთა განხილვასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრა, სისხლის სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა და ა.შ.).

კანდიდატს 2007 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

კანდიდატი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

კანდიდატი 2008 წლის 28 მაისს დაჯილდოვდა ღირსების მედლით.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

„ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი" ბევრ კომპონენტს მოიცავს, როგორიცაა: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულება და ა.შ. (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდა) კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მივიჩნიე, რომ იგი აკმაყოფილებს „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.

კანდიდატს შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები, აქვს ზეგავლენის მიმართ მედეგობა, არის პრინციპული, შრომისმოყვარე, გაწონასწორებული, მიუკერძოებელი პოლიტიკური ან სხვა ნიშნით, არის - სამართლიანი. სამოსამართლო საქმიანობის გარდა, ასრულებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის უადრესად საპასუხისმგებლო მოვალეობას. ზემოაღნიშნული თვისებებიდან გამომდინარე მივიჩნიე, რომ იგი აკმაყოფილებს, „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.

კანდიდატთან საჯარო მოსმენისა და ასევე მის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ კანდიდატი კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, შეუძლია ემოციების მართვა და იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს. როგორც მოსამართლე და მოქალაქე გამოირჩევა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით სამსახურებრივი თუ არასამსახურეობრივი ფუნქცია-მოვალეობების განხორციელებისას. არის თავდაჭერილი, თავმდაბალი,

სამართლიანი და თავდაჯერებული. შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს ,,პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.

კანდიდატის პიროვნულ თვისებებს დადებითად ახასიათებენ გამოკითხული პირები. აქვს მაღალი რეპუტაცია, ავტორიტეტი, როგორც კოლეგა მოსამართლეებში, ასევე აპარატის თანამშრომლებში, იურიდიულ წრეებში; შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს, ,,პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.

კანდიდატის შემოსავლის, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი. შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს ,,ფინანსური ვალდებულების" მახასიათებელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

საჯარო მოსმენისას კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები სამართლის სხვადასხვა დარგიდან. დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის პასუხები იყო თანმიმდევრული, არგუმენტირებული და კომპეტენტური. კანდიდატმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული საკითხების სიღრმისეული ცოდნა და მსჯელობის დროს მოიშველია რეალური საქმეები. აქვს ანალიზის კარგი უნარი. კანდიდატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში სამართლებრივი ნორმები გამოყენებულია სწორად. უნდა აღინიშნოს, რომ მის მიმართ დასმული შეკითხვებიდან, ზოგიერთ შემთხვევაში პასუხი იყო უმნიშვნელოდ ხარვეზიანი, ვგულისხმობ, რომ მსჯელობა არ იყო სრულყოფილად განვრცობილი და ამომწურავი, თუმცა მნიშვნელოვან და ყურადსაღებ შეცდომებსა და უზუსტობებს ადგილი არ ჰქონია. აქედან გამომდინარე შემიძლია გავაკეთო დასკვნა, რომ კანდიდატს აქვს როგორც მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კარგი ცოდნა.

შესაბამისად, კანდიდატი, გასაუბრებისა და მის მიმართ დასმული კითხვების სირთულის გათვალისწინებით, ,,სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით შევაფასე 19 ქულით.

კანდიდატს გააჩნია მოსამართლედ მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება, არის მეორე ვადით არჩეული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანამდებობაზე, რაც ბუნებრივია მეტყველებს მის გამოცდილებასა და კომპეტენტურობაზე. აქვს ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი. მის მიერ შედგენილი დოკუმენტების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ იგი გამოირჩევა წერის კარგი უნარით. მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული და დამაჯერებელია, ადვილად იკითხება და არის აღქმადი.

აქედან გამომდინარე მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 18 ქულით.

შევაფასე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტები. უნდა აღინიშნოს, რომ მსჯელობა ლოგიკურია, კანდიდატს გააჩნია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის უნარი; იგი კარგად ფლობს და ადეკვატურად იყენებს სამართლებრივ ლექსიკას: სამართლებრივი დოკუმენტი არ არის გადატვირთული არამიზნობრივად, შესაბამისად იკითხება და აღიქმება მარტივად; გაცნობილ მასალებში მნიშვნელოვანი გრამატიკული და პუნქტუალური ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,წერის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 18 ქულით.

კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად შემიძლია აღვნიშნო, რომ მეტყველებს გამართულად, აზრს ნათლად, მკაფიოდ და გასაგებად გადმოცემს; მსჯელობს ლოგიკურად; აქვს უნარი სხვისი აზრის მოსმენისა. საუბრისას ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან გარემოებებზე, გასაუბრების მსვლელობის დროს იყო ღია და გახსნილი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანდიდატი გამოირჩევა მოსაუბრესთან ვიზუალური კონტაქტის დამყარების უნარით. ასევე, ხაზგასასმელია მისი მშვიდი, გაწონასწორებული და დამაჯერებელი ხმის ტემბრი, რაც ვფიქრობ უმნიშვნელოვანესია სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ,,ხეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე 15 ქულით.

კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციისა და მასთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს აქვს გადაწყვეტილებების ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადების უნარი, არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. მისი ქცევა სასამართლო დარბაზში არის სათანადო და შეესაბამება მოსამართლის მაღალ სტატუსს. აქვს კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევები, სტრესულ სიტუაციაში სწრაფად მუშაობის კარგი უნარი და ასევე მრავალწლიანი სამოსამართლო და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება.

ამდენად მივიჩნიე, რომ კანდიდატი პროფესიული თვისებების (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 14 ქულით.

კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობს ხშირად; გააჩნია სათანადო ინტერესი ცოდნის, ახალი გამოცდილებისა და უნარების შეძენისა. არის მოტივირებული და ზრუნავს თვითგანვითარებაზე. მასთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ არის შრომისმოყვარე და ღიაა სიახლეების მიმართ.

კანდიდატი ,,აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 5 ქულით.

კანდიდატი არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, შესაბამისად იგი ყოველდღიურად აქტიურადაა ჩართული მართლმსაჯულების განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტიპის აქტივობებში, ესწრება სამართლებრივი სისტემისა თუ მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა შეხვედრებსა და სემინარებს; იჩენს ინიციატივას და აყენებს ახალ იდეებსა და წინადადებებს. კანდიდატი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ,,პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე 5 ქულით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს მივანიჭე - 94 ქულა

ხელმოწერა

თარიღი 22.07.2024